



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030458345208320

№ 04-106/ო

18 / თებერვალი / 2020 წ.

**სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე, სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის (მატერიალური/ელექტრონული) განსაზღვრასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ**

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადანაწილებასთან/ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის N487 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის და მე-2 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (11 დეკემბერი 2019 წ. N5461-ის) მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანებით დამტკიცებული წესების 67-ე მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნისა და რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის სარეორგანიზაციო კომისიის 2020 წლის 6 თებერვლის სხდომის N4 ოქმის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :**

1. დაევალოთ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სოციალური მომსახურების სააგენტო):
  - ა) ეკონომიკურ დეპარტამენტს (ზ. ფიფია) და ლოჯისტიკის დეპარტამენტს (ზ. ჭანტურია), არაუგვიანეს 2020 წლის 1-ლი აპრილისა, ამავე სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების განსაზღვრა, მათი ადვილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა და მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის (რეესტრის) წარმოდგენა;
  - ბ) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის უფროსებს (უფროსების ფუნქციური

მოვალეობის შემსრულებლებს), არაუგვიანეს 2020 წლის 1-ლი აპრილისა, სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული, დაქვემდებარებული ორგანოების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების განსაზღვრა, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა და მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის (რეესტრის) წარმოდგენა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტთან და ლოჯისტიკის დეპარტამენტთან კოორდინაციის (შეთანხმების) რეჟიმში;

გ) ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), არაუგვიანეს 2020 წლის 1-ლი აპრილისა, ამავე სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის, შესაბამისად, შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის და მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით გადასაცემი სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის (მიმდინარე/დასრულებული და მატერიალური/ელექტრონული) განსაზღვრა, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა და მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის (რეესტრის) წარმოდგენა;

დ) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის უფროსებს (უფროსების ფუნქციური მოვალეობების შემსრულებლებს), არაუგვიანეს 2020 წლის 1-ლი აპრილისა, სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული, დაქვემდებარებული ორგანოების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის, შესაბამისად, შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის და მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით გადასაცემი სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის (მიმდინარე/დასრულებული და მატერიალური/ელექტრონული) განსაზღვრა, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა და მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის (რეესტრის) წარმოდგენა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტთან კოორდინაციის (შეთანხმების) რეჟიმში.

## 2. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული:

ა) აქტივების განსაზღვრა მოხდეს სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან შეთანხმებით;

ბ) სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მატერიალური სახით არსებულის) განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებასთან, მოხდეს პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების (პროფესული გადამზადების შესახებ); დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების (სტაჟირება, სუბსიდირება); მოქალაქეთა განცხადებების; მონიტორინგის ფორმების და სხვა დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით;

გ) სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მატერიალური სახით არსებულის) განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებასთან, მოხდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოს ოქმების; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების (მათ შორის, გამოუყენებელი); ორგანიზაციებიდან შემოსული დოკუმენტაციის (ანგარიშები, ვაუჩერები და სხვა.); ბენეფიციართა საქმეების (მიმდინარე/დასრულებული); სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სერვისების ვაუჩერების (მათ შორის, გამოუყენებელი) და სხვა დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით.

3. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების პროცესი, მათი პროფილური მიმართულებების მიხედვით, დაეფუძნოს შესაბამისად - საბალანსო მონაცემებს, ინვენტარიზაციის შედეგებს, სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის საქმეთა ნომენკლატურას და სხვა დოკუმენტაციას (საარქივო მასალა და ა.შ.).

4. მიღებულ იქნეს ცნობად, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების პროცესში, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს პასუხისმგებელი პირების (დასაქმებულების) მონაწილეობის საკითხი, ამ პროცესში წარმოებულ წერილობით ინფორმაციებზე (რეესტრებზე) ხელმოწერის უფლებით.

5. სოციალური მომსახურების სააგენტოს:


ა) ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, ამავე სააგენტოში მოქმედი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის (დეს) მეშვეობით, ამ ბრძანების დაგზავნა ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის;

ბ) დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) ამ ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, ლ. გოგოძეს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამგვდასმულია  
ელემტრონულად 

გიორგი ნონკოლაური